



სატელევიზიო თოქ-შოუების წინასაარჩევნო მედია მონიტორინგი

15 აპრილი - 2 მაისი 2014

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით CRRC საქართველომ განახორციელა მედიის მონიტორინგი ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის „პროფესიონალური მედია არჩევნებისთვის“ ფარგლებში. მონიტორინგი უტარდებოდა საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებს და პრაიმ-ტაიმის დროს გასულ პოლიტიკურ თოქ-შოუებს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე, აჭარის ტელევიზიაზე, რუსთავი 2-ზე, იმედზე, მანეტროზე, კავკასიაზე, ტვ3-ზე (მხოლოდ საინფორმაციო გამოშვებები) და ტაბულაზე (მხოლოდ თოქ-შოუები). დაკვირვების ქვეშ მოხვდნენ შემდეგი თოქ-შოუები:

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი: „პირველი სტუდია“ - ეკა მიშველაძე;
რუსთავი 2: „არჩევანი“ - გიორგი გაბუნია, „პოზიცია“ - ნინო შუბლაძე;
იმედი: „პოლიტიკის დრო“ - თეა სიჭინავა, „რეაქცია“ - ინგა გრიგოლია;
მანეტრო: „სუბიექტური აზრი“ - დიანა ტრაპაიძე და თეონა გეგელია;
კავკასია: „სტუდია სპექტრი“ - დავით აქუბარდია, „ბარიერი“ - ნინო ჯანგირაშვილი და ალექსანდრე ელისაშვილი;
ტაბულა: „ფოკუსი“ - მონაცვლეობით უძღვებიან სალომე უგულავა და ნინო მაჭარაშვილი, „თეორემა“ - თამარ ჩერგოლიძე.

მეთოდოლოგია და ანალიზი

თოქ-შოუების წინასაარჩევნო მედია მონიტორინგი მოიცავს მხოლოდ თვისებრივ ნაწილს. მონიტორინგის დროს დაკვირვება ხდება გადაცემის სტუმრებსა და თემებზე და ჟურნალისტებზე, გადაცემის წამყვანებზე. ფასდება, რამდენად თანაბარ პირობებში აყენებს ჟურნალისტი სტუმრებს: ჟურნალისტის კითხვები რამდენად თანაბრად მომთხოვნი/ლმობიერია ყველა სტუმრის მიმართ; რამდენად აცდის თოქ-შოუს წამყვანი სტუმრებს აზრის გამოთქმას და როდის აწყვეტინებს საუბარს. ასევე რამდენად ცდილობს ის სტუმრებისგან სიღრმისეული ინფორმაციის მიღებას და განხილულ საკითხზე მაყურებლისთვის მრავალმხრივი ინფორმაციის მიწოდებას. ასახელებს თუ არა ჟურნალისტი

ინფორმაციის წყაროს კითხვების დასმისას ან კომენტარის გაკეთებისას და როგორია მისი არავერბალური ენა. მონიტორინგი ასევე აკვირდება თოქ-შოუებში სიძულვილის ენის (შეურაცხყოფელი ან დამამცირებელი ფრაზების/განცხადებების) გამოყენებას წამყვანების მხრიდან და მათ რეაგირებას სტუმრების მიერ სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებზე. ფასდება ჟურნალისტების როლი და ჩართულობა გადაცემის განმავლობაში.

მოცემული ანგარიში მოიცავს თოქ-შოუების მედია მონიტორინგის შედეგებს 15 აპრილიდან 2 მაისის ჩათვლით.

ძირითადი მიგნებები

ამ პერიოდში პოლიტიკური თოქ-შოუები აქტიურად მიყვებოდა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების თემებს და საკმაოდ საინტერესო და ინფორმაციული გადაცემები კეთდებოდა. საზოგადოების მაღალი ინტერესიდან გამომდინარე განსაკუთრებით აქტიურად განიხილებოდა ანტიდისკრიმინაციული კანონი და მის გარშემო განვითარებული მოვლენები თუ არსებული მოსაზრებები როგორც კანონმდებლების, ისე არასამთავრობო სექტორისა და სამღვდელოების პოზიციების წარმოდგენით. აღნიშნული თემა ყველა გადაცემაში გაანალიზეს, თანაც, არაერთხელ.

ადგილობრივი არჩევნების მერობისა და მაჟორიტარობის კანდიდატების წარმოჩენა პოლიტიკურ თოქ-შოუებში მონიტორინგის პერიოდის მეორე ნახევარში უფრო შეინიშნებოდა. თუმცა, ადგილობრივი არჩევნების გარშემო განხილვები სულ მიმდინარეობდა. დაკვირვების ქვეშ მყოფი 10 პოლიტიკური თოქ-შოუს უმეტესობაში სტუმრებს შორის წარმოდგენილნი იყვნენ ხელისუფლების, ასევე ძირითადი ოპოზიციური ძალების წარმომადგენლები. არხებისა და გადაცემების ცალკეული აღწერა ქვემოთაა მოცემული.

პირველი არხი

პირველი სტუდია

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე კვირაში ორჯერ გადის პოლიტიკური თოქ-შოუ „პირველი სტუდია“, წამყვანი - ეკა მიშველაძე, რომელიც აანალიზებს კვირის მთავარ მოვლენებს. 15 აპრილიდან 2 მაისამდე პერიოდში გავიდა ხუთი გადაცემა, რომელსაც საკმაოდ მრავალფეროვანი სტუმრები ჰყავდა: საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის წევრები, არასაპარლამენტო ოპოზიციისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, საქართველოს პრეზიდენტი. თოქ-შოუში განიხილეს კვირის აქტუალური თემები, მათ შორის:

- საარჩევნო გარემო;

- ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტი;
- ხელისუფლებისა და ოპოზიციის პოლიტიკური გზავნილები;
- შიდა და საგარეო პოლიტიკური საკითხების განხილვა საქართველოს პრეზიდენტთან;
- საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ორგვლივ განვითარებული მოვლენები (მონიტორინგის ამ პერიოდის მანძილზე ორჯერ იყო განხილული)

სტუმრების თვალსაზრისით თოქ-შოუ საკმაოდ დაბალანსებული იყო. თითოეულ გადაცემაში მოწვეული იყო საკითხით დაინტერესებული ყველა მხარე და თითოეულ მათგანს ჰქონდა შესაძლებლობა დაეფიქსირებინა საკუთარი მოსაზრება. შესაბამისად, მაყურებელს მიეცა საშუალება, მრავალმხრივი ინფორმაცია მიეღო საკითხზე.

გადაცემის წამყვანი უმეტესად აქტიურად იყო გადაცემაში ჩართული, რაც გამოიხატებოდა ყველა სტუმრისადმი აქტუალური და საკმაოდ მომთხოვნი კითხვების დასმით. წამყვანი არ აფიქსირებდა საკუთარ პოზიციას და ცდილობდა მოდერატორის როლის შესრულებას. სტუმრების მიმართ მიდგომა თანაბარი იყო და არავინ სარგებლობდა პრივილეგირებული მდგომარეობით.

წამყვანის მხრიდან ტენდენციურობა და მცდელობა, რომ რომელიმე მხარე დადებითად ან უარყოფითად წარმოეჩინა, არ შეინიშნებოდა. მაგრამ იყო შემთხვევა, როცა წამყვანი არ ერეოდა გადაცემის მიმდინარეობაში და სტუმრებს კამათის საშუალებას აძლევდა. ზოგჯერ კი, მაგალითად 23 აპრილის გადაცემაში, ოპონენტები ერთმანეთთან იმდენად მწვავე კამათში შედიოდნენ, რომ მას უჭირდა სიტუაციის მართვა.

როდესაც თოქ-შოუს საქართველოს პრეზიდენტი სტუმრობდა, 30 აპრილს, რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ჟურნალისტის კითხვები ნაკლებად მომთხოვნი იყო. ის სვამდა უფრო ზოგად კითხვებს საკითხის ორგვლივ, სრულ შესაძლებლობას აძლევდა საქართველოს პრეზიდენტს, თავისი მიმართულებით წაეყვანა გადაცემა და არ უწევდა აქტიურ ოპონირებას.

მონიტორინგის ამ პერიოდის მანძილზე თოქ-შოუში არ დაფიქსირებულა თემიდან აცდენა. იმ შემთხვევაში, თუ სტუმარი შეეცდებოდა გადაცემის მთავარი თემიდან გადახვევას, ჟურნალისტი ყოველთვის აწყვეტინებდა და მოუწოდებდა, დაბრუნებოდა ძირითადად განსახილველ საკითხს. გადაცემის მანძილზე არ ყოფილა სიძულვილის ენის გამოყენების არცერთი შემთხვევა არც ჟურნალისტის და არც გადაცემის სტუმრების მხრიდან.

რუსთავი 2

არჩევანი

„არჩევანი“ ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუა, რომელიც რუსთავი 2-ის ეთერში სამშაბათობით გადის და მიჰყავს გიორგი გაბუნას. მონიტორინგის პერიოდში თოქ-შოუს 3 გადაცემა მოხვდა, რომელშიც მიმოხილული იყო შემდეგი საკითხები:

- ანტიდისკრიმინაციული კანონი;
- წინასაარჩევნო მორატორიუმი;
- კულტურის სამინისტროს ირგვლივ არსებული აქტუალური საკითხები (საყდრისის ოქროს საბადო, კულტურის მინისტრის მოადგილის გადაყენება);
- საფრთხე რუსეთის მხრიდან.

„არჩევანი“ სტუმრების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. ისინი წარმოადგენდნენ სხვადასხვა მხარეს, როგორებიცაა: საპარლამენტო უმრავლესობა და უმცირესობა, არასაპარლამენტო ოპოზიცია, არასამთავრობო ორგანიზაციები და მთავრობა. ერთ-ერთ გადაცემაში ასევე მოწვეული იყო სასულიერო პირი და ფილოსოფოსი. თოქ-შოუში აზრის გამოთქმის საშუალება ჰქონდა დამსწრე დარბაზსაც. გადაცემას თემსთან რელევანტური სტუმრები ჰყავდა, რადგან სტუდიაში წარმოდგენილი იყო სხვადასხვა პოლიტიკური ძალისა და საზოგადოების ის წარმომადგენლები, რომელთაც შეეძლოთ თემის გარშემო განსხვავებული პოზიციებიდან მსჯელობა.

„არჩევანის“ წამყვანი გიორგი გაბუნია ძირითადად არ ამჟღავნებდა ტენდენციურობას რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ და სვამდა აქტუალურ კითხვებს. ზოგჯერ წამყვანის რეპლიკებს ირონიული ელფერი ჰქონდა, თუმცა, მონიტორინგის პერიოდის გადაცემებში არ შეინიშნებოდა ამის გამო რომელიმე რესპონდენტის უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენება ან პირიქით. გადაცემის სტუმრებს ჰქონდათ აზრის გამოხატვის საშუალება და წამყვანი ცდილობდა, მოდერატორის როლი შეესრულებინა, მათთვის დრო გადაენაწილებინა და საკითხიდან გადახვევის შემთხვევაში სტუმრები თემსთან დაებრუნებინა.

წამყვანის კითხვები საკმაოდ მომთხოვნი იყო. იგი ხშირად უწევდა სტუმრებს ოპონირებას განსხვავებული აზრისა და საწინააღმდეგო არგუმენტების მოყვანით, ასევე უმეტესად აზუსტებდა ჩამიბის გზით სტუმრების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. კითხვების დასმისას გამოყენებული ინფორმაციის წყაროდ წამყვანი ხშირად იყენებდა ციტატებს ოფიციალური პირების განცხადებებიდან. ინფორმაციის წყაროს იგი უმეტესად ასახელებდა.

„არჩევანის“ წამყვანი სიძულვილის ენას ან არაკორექტულ ლექსიკას არ იყენებდა. მსგავსი გამოთქმები არც სტუმრების მხრიდან დაფიქსირებულა.

პოზიცია

პარასკეობით რუსთავი 2-ის ეთერში გადის პოლიტიკური თოქ-შოუ „პოზიცია“, რომელიც ნინო შუბლაძეს მიჰყავს. მონიტორინგის მოცემულ პერიოდს მხოლოდ 2 გადაცემა დაემთხვა. თუმცა, სტუმრების მხრივ მაინც მრავალფეროვანი იყო. გადაცემას სტუმრობდნენ საპარლამენტო უმრავლესობის და უმცირესობის წევრები, სამღვდელოების წარმომადგენლები და ქართული პარტიის ლიდერი ირაკლი ოქრუაშვილი. თოქ-შოუში განხილულ თემებს შორის იყო:

- ანტიდისკრიმინაციული კანონი;
- ქართული ოცნების პოლიტსაზჰოს სხდომა;
- ინციდენტი ყვარლის რაიონში;
- ირაკლი ოქრუაშვილის გეგმა.

უნდა აღინიშნოს, რომ 2 მაისის გადაცემაში ანტიდისკრიმინაციული კანონის გარშემო მოწვეული სტუმრები განსხვავებულ პოზიციებს გამოხატავდნენ და პრაქტიკულად ყველა მხარეს წარმოადგენდნენ. გადაცემაში ერთდროულად იყო წარმოდგენილი სამღვდელოების ორივე მხარის პოზიცია (მამა დავით ლასურაშვილი, რომელიც ეწინააღმდეგებოდა და მამა ილია ვაშაკიძე, რომელიც საგანგაშოს ვერაფერს ხედავდა ამ კანონპროექტში), ასევე საპარლამენტო უმრავლესობის და უმცირესობის წევრები. მთლიანობაში მაცურებელს ჰქონდა საშუალება მრავალმხრივი ინფორმაცია მიეღო საკითხზე.

გადაცემის წამყვანი აქტიურადა იყო ჩართული თოქ-შოუში, ყურადღებით უსმენდა რესპონდენტებს და ხშირად ერთვებოდა რეპლიკებით. მისი კითხვები მწვავე და ამომწურავი იყო ყველანაირი პოზიციის მქონე სტუმრის მისამართით; იგი ოპონირებას უწევდა სტუმრებს და მათი მოსაზრების საპირისპირო არგუმენტები მოჰყავდა. ასევე ასრულებდა მოდერატორის ფუნქციას და ცდილობდა, ყველა სტუმრისთვის მიეცა აზრის გამოთქმის საშუალება.

სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევა არ დაფიქსირებულა არც წამყვანის და არც სტუმრების მხრიდან. თუმცა, ერთ შემთხვევაში, როცა გადაცემის სტუმარმა მამა დავითმა ცუდ კონტექსტში მოიხსენია ჟურნალისტ თამარ ჩერგოლეიშვილის ტელევიზია, ჟურნალისტს ამაზე რეაქცია ჰქონდა და სიტყვა გააწყვეტინა.

იმედი

რეაქცია

„რეაქცია“ ყოველკვირეული თოქ-შოუს, რომელიც იმედის ეთერში პარასკევობით გადის. მისი წამყვანია ინგა გრიგოლია. გადაცემა რამდენიმე ნაწილისგან შედგება. მასში, როგორც წესი, რამდენიმე სტუმარია მოწვეული და დამსწრე საზოგადოება მონაწილეობს. 15 აპრილიდან 2 მაისამდე პერიოდში „რეაქციის“ მხოლოდ ორი გადაცემა გავიდა. თოქ-შოუს მონაწილე სტუმრები წარმოადგენდნენ როგორც ხელისუფლებას, ისე ოპოზიციას და არასამთავრობო სექტორს. 2 მაისის გადაცემაში ინგა გრიგოლიამ წინასაარჩევნო რუბრიკა, ე.წ. საარჩევნო ეთერი გახსნილად გამოაცხადა და გადაცემაში მიიწვია კოალიცია „ნინო ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიცია“ თავისი წევრებითა და მერობის კანდიდატით. გადაცემის ერთი ბლოკი დაეთმო ამ პოლიტიკური ძალის წინასაარჩევნო პრეზენტაციას და თბილისის მერობის კანდიდატს. მაჟორიტარებსა და პარტიის ლიდერებს საშუალება ჰქონდათ ესაუბრათ საკუთარ პოლიტიკურ გეგმებზე.

გარდა ამისა, თოქ-შოუში განხილულ თემებს შორის იყო:

- პარლამენტარ ვალერი გელაშვილის საქმე;
- დაპირისპირება უმრავლესობასა და უმცირესობას შორის პროკურატურაში დაბარებების თაობაზე;
- ანტიდისკრიმინაციული კანონი.

თოქ-შოუ „რეაქცია“ საკმაოდ ინფორმაციულია და ხშირ შემთხვევაში ემოციურიც. ზოგადად, ინგა გრიგოლიას ახასიათებს ფაქტების მძაფრად დრამატულად წარმოჩენა, რაც განსაკუთრებით იგრძნობა თემის გამოცხადების დროს. იგი ეხმიანება ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. გადაცემაში უმეტესად წარმოდგენილია რამდენიმე მხარე და განსხვავებული პოლიტიკური ძალები.

ინგა გრიგოლია უმეტესად გამოირჩევა საკმაოდ მწვავე და მომთხოვნი კითხვებით. პასუხის ვერ მიღების შემთხვევაში იგი კითხვებს იმეორებს და ეძიება სტუმრებს დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, ამ მხრივ აწყვეტინებს კიდეც საუბარს. მისი კითხვები ზოგჯერ ძალიან პირდაპირია და ხანდახან შემტევიც, მაგალითად, 2 მაისის გადაცემაში ნინო ბურჯანაძეს ჰკითხა: „რუსეთი თუ ევროპა, მე გეკითხებით თქვენ“; ასევე - 2 მაისის გადაცემაში ერთ-ერთი მაჟორიტარი კანდიდატის ნათქვამზე, რომ ის იქნებოდა ყველას მაჟორიტარი განურჩევლად პოლიტიკური შეხედულებისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა, ინგა გრიგოლია ამბობს, - „უნდა მიგეყოლებინათ სექსუალური ორიენტაცია... რატო გიჭირთ თქვენს გუნდს ამ თემაზე ესე...“. მიუხედავად ამისა, მის გადაცემაში სტუმრები თანაბარ მდგომარეობაში არიან, რადგან წამყვანის დამოკიდებულება და ქცევა ყველას მიმართ ერთნაირია. ჟურნალისტი გადაცემაში აქტიურადაა ჩართული და ცდილობს, იყოს მოდერატორი და თანაბრად გაანაწილოს დრო გადაცემის მონაწილეებს შორის. თუმცა, იყო

შემთხვევა, როცა დარბაზში დაპირისპირებულმა მხარეებმა წამყვანს არ დააცადეს გადაცემის წაყვანა და იგი იძულებული გახდა, ეთერში სარეკლამო ჭრა გაეკეთებინა.

აღსანიშნავია, რომ 2 მაისის გადაცემაში ინგა გრიგოლიამ პირდაპირ ეთერში არ გაუშვა ჯონდი ბალათურის მოტანილი მასალა (დისკი), რომელზეც, ბალათურის თქმით, ასახული იყო, თუ რა დღეში ჩავარდა უმრავლესობა იმ ქვეყნებში მას შემდეგ, რაც ანტიდისკრიმინაციული კანონი მიიღეს. ინგა გრიგოლიას პასუხი იყო, რომ უნახავად მასალას ვერ გაუშვებდა და ამ პასუხისმგებლობას ვერ აიღებდა.

ინგა გრიგოლია არ იყენებდა სიძულვილის ენას ან არაკორექტულ გამონათქვამებს და როდესაც გადაცემის მონაწილეების მხრიდან ისმოდა არაეთიკური გამონათქვამები, ყოველთვის მოუწოდებდა მათ კორექტულობისკენ.

პოლიტიკის დრო

„პოლიტიკის დრო“ ყოველკვირეული თოქ-შოუა, რომელიც იმედის ეთერში სამშაბათობით გადის. გადაცემის წამყვანია თეა სიჭინავა. თოქ-შოუ მიმოიხილავს კვირის მთავარ მოვლენებს და სტუმრად იწვევს განსხვავებული მხარის წარმომადგენლებს. მონიტორინგის პერიოდში გავიდა 3 გადაცემა. მასში მოწვეული სტუმრები წარმოადგენდნენ როგორც ხელისუფლების, ასევე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს, საკრებულოს წევრებს, ექსპერტებს და საზოგადოების სხვა წარმომადგენლებს. გადაცემაში განიხილეს შემდეგი თემები:

- წინასაარჩევნო გარემო;
- უკრაინაში მიმდინარე მოვლენები და ევროპული არჩევანი;
- რუსეთის ფედერაციის საპასპორტო პოლიტიკა;
- სამართლიანობის აღდგენა;
- ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტი;
- საკრებულოს ირგვლივ განვითარებული მოვლენები და შიხიაშვილის შესაძლო იმპიჩმენტი.

„პოლიტიკის დრო“ მთლიანობაში საკმაოდ დაბალანსებულია. ჟურნალისტი ცდილობს განსხვავებული აზრის წარმოდგენას და ოპონირებას უწევს სტუმრებს საპირისპირო არგუმენტებით. წამყვანი ეძიება სტუმრებს დამატებითი ინფორმაციის მისაღებად. მის მიერ დასმული კითხვები საკმაოდ მომთხოვნია, ამასთან, თანაბრად მომთხოვნი როგორც მმართველი გუნდის, ისე ოპოზიციის მიმართ. თეა სიჭინავა მეტწილად მოდერატორის როლს ასრულებს იმ თვალსაზრისით, რომ საკუთარ აზრს ნაკლებად გამოთქვამს და უფრო კითხვების დასმით შემოიფარგლება. ასევე ცდილობს, ყველა სტუმარს მისცეს აზრის

გამოთქმის საშუალება და აწყვეტინებს ინფორმაციის დაზუსტების ან მაგალითის მოყვანის თხოვნით.

მონიტორინგის პერიოდში გასული 3 გადაცემის მანძილზე არ გამოვლენილა თემიდან გადახვევის ფაქტი. სტუმრები რელევანტურები იყვნენ თემასთან. სიძულვილის ენის ან არაეთიკური გამონათქვამების გამოყენება არ დაფიქსირებულა არც ჟურნალისტს და არც მოწვეული სტუმრების მხრიდან.

მაესტრო

სუბიექტური აზრი

მაესტროზე ყოველ სამუშაო დღეს გადის თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი“ თეონა გეგელიასთან და დიანა ტრაპაიძესთან ერთად, რომელიც მიმოიხილავს დღის მნიშვნელოვან მოვლენებს. გადაცემის პირველ ნაწილში წამყვანები „სუბიექტურად“ მსჯელობენ და განიხილავენ დღის ახალ ამბებს, მეორე ნაწილში კი განხილვა სტუმრებთან ერთად გრძელდება. 15 აპრილიდან 2 მაისამდე პერიოდში „სუბიექტური აზრის“ 12 გადაცემა გავიდა. მოწვეულ სტუმართა შორის იყვნენ საპარლამენტო უმრავლესობის და უმცირესობის წარმომადგენლები, მთავრობის წევრები, არასამთავრობო ორგანიზაციების და საზოგადოებრივი ჯგუფების წარმომადგენლები. განხილულ თემებს შორის იყო:

- კანონი და ეკლესია;
- ანტიდისკრიმინაციული კანონი;
- კანონპროექტი მოსმენების შესახებ;
- კანონპროექტი საფოსტო კავშირის შესახებ;
- ქართული ოცნების და ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო სიები;
- მინისტრი და გასტრონომია;
- ძალთა თანაფარდობა კოალიციურ საპარლამენტო უმრავლესობასა და მთავრობაში;
- ოცნება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის ემზადება;
- 1 მაისი თბილისში (სოლიდარობის დღესასწაული/აქცია).
- უკრაინის პრობლემები;
- წინასაარჩევნო ვითარება;
- პარტიების საარჩევნო სტრატეგია;
- TV3-ის ჟურნალისტების დაკავება ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლების მიერ;
- ივანიშვილისა და ქართუ ბანკის ირგვლივ აგორებული ჭორები.

თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი“ გამოირჩევა თემების მრავალფეროვნებით იმ თვალსაზრისით, რომ გადაცემის განმავლობაში წამყვანები დიანა ტრაპაიძე და თეონა გეგელია არა ერთ, არამედ ორ ან უფრო მეტ თემას ეხებიან, განსაკუთრებით გადაცემის მიმოიხილვით ნაწილში,

სადაც სტუმრები მიწვეულნი არ არიან. გადაცემის ამ ნაწილში, „სუბიექტური“ განხილვისას, ხშირია წამყვანების მხრიდან ორონის გამოხატვა როგორც ვერბალური, ისე არავერბალური ენით. „სუბიექტურობის“ თვალსაზრისით საინტერესოა 25 აპრილის გადაცემის ნაწილი, როცა სტუმრის (გოგა ხაჩიძის) დაგვიანების გამო წამყვანებმა თვითონ განასახიერეს სტუმარი და მისთვის დასასმელი კითხვები ერთმანეთს დაუსვეს და თვითონვე უპასუხეს.

წამყვანები ძალიან აქტიურად არიან ჩართულები გადაცემაში, ხშირად სვამენ მომთხოვნ კითხვებს. ჟურნალისტების მხრიდან ნაკლებად შეინიშნება რომელიმე პოლიტიკური მხარისთვის უპირატესობის მინიჭება. ისინი კრიტიკულები და პირდაპირები არიან როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის მიმართ და ხშირად აწყვეტინებენ სტუმრებს საუბარს დამატებითი კითხვებით და კომენტარებით. თუმცა, ზოგჯერ მათი კრიტიკა გადაჭარბებულად შემტევ ხასიათს იძენს, განსაკუთრებით ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრების მიმართ (მაგ.: ხათუნა გოგორიშვილს 23 აპრილის გადაცემაში, გოგა ხაჩიძეს 25 აპრილის გადაცემაში), რომლებსაც ყოველთვის ახსენებენ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდს.

გადაცემის სტუმრებისთვის კითხვების დასმისას ან კომენტარების გაკეთებისას წამყვანები ხშირად იყენებენ ინფორმაციას სოციალური ქსელებიდან და ნაკლებად სანდო წყაროებიდან. ისინი ხშირად დაუკონკრეტებლად, ზოგადად მოიხსენიებენ ინფორმაციის წყაროს და ეყრდნობიან ე.წ. „გავრცელებულ ინფორმაციას“ ან საკუთარ ვარაუდებს.

კავკასია

ბარიერი

„ბარიერი“ პოლიტიკური თოქ-შოუა, რომელიც კავკასიის ეთერში კვირაში ოთხჯერ გადის. წამყვანები არიან ნინო ჯანგირაშვილი და ალექსანდრე ელისაშვილი (1 მაისს ელისაშვილმა განაცხადა, რომ დატოვებდა გადაცემას). „ბარიერი“ სტუმრების სიმრავლით გამოირჩევა. მონიტორინგის პერიოდში გასულ 11 გადაცემაში მას სტუმრობდნენ საპარლამენტო და საკრებულოს უმრავლესობის და უმცირესობის წევრები, კოალიცია ქართული ოცნების, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და სხვა პოლიტიკური გაერთიანებების მაჟორიტარი კანდიდატები, არასაპარლამენტო ოპოზიციის, არსამთავრობო სექტორის, საზოგადოების წარმომადგენლები და ექსპერტები. თოქ-შოუ თემების მრავალფეროვნებითაც გამოირჩეოდა. მონიტორინგის პერიოდში განხილულ თემებს შორის იყო:

- დასკვნა აგვისტოს ომის შესახებ;
- რუსი სამხედროების მიერ ქართული ჟურნალისტების დაკავება;
- რუსეთის მხრიდან მოსალოდნელი საფრთხეები;
- ანტიდისკრიმინაციული კანონი;

- ხელისუფლების ხარჯები;
- რა ხდება თბილისის საკრებულოში თვითმმართველობის არჩევნებამდე;
- ღარიბაშვილის მოსაზრება კამპანია „ეს შენ გეხება“-ს შესახებ და არასამთვრობო ორგანიზაციების პასუხი;
- ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება: სარგებელი, ნაკლოვანებები და საფრთხეები;
- ვინ რომელი ადგილისთვის იბრძოლებს არჩევნებში - რა შესაძლებლობები და პერსპექტივები აქვთ პოლიტიკურ პარტიებს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში.

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში გადაცემას ორი წამყვანი ჰყავდა, რომლებიც მონაცვლეობით უძღვებოდნენ თოქ-შოუს და მათი მუშაობის სტილი საკმაოდ განსხვავებული იყო ერთმანეთისგან.

ალექსანდრე ელისაშვილი ძირითადად ზოგადი კითხვების დასმით შემოიფარგლებოდა. არ ეძიებოდა სტუმრებს დეტალური ინფორმაციისთვის და იშვიათად ერთვებოდა გადაცემებში. ხშირად მშვიდად ადევნებდა თვალს ცხარე დებატებს. იგი არ მოუწოდებდა სტუმრებს კორექტულობისკენ, როცა ისინი არაკორექტულ ლექსიკას მიმართავდნენ. 30 აპრილის გადაცემაში, სადაც მწვავე დებატები გაიმართა ანტიდისკრიმინაციული კანონის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის, პატრიოტთა ალიანსის გენერალურმა მდივანმა სოსო მანჯავიძემ არაერთხელ მიაყენა შეურაცხყოფა ირაკლი ვაჭარაძეს, ორგანიზაცია „იდენტობის“ ხელმძღვანელს: „საიდან იჩეკებიან ასეთი ტიპის წიწილები“, „თქვენ ხართ აბსოლუტური სალახანა“. საბოლოოდ, ირაკლი ვაჭარაძემ პროტესტის ნიშნად დატოვა გადაცემა. წამყვანს არც ამაზე და არც სტუმრების მხრიდან არაკორექტულობაზე რეაქცია არ ჰქონდა.

თავისი პასიური ჩართულობის ფონზე უმეტეს შემთხვევაში ალექსანდრე ელისაშვილს სტუმრების მიმართ ერთნაირი დამოკიდებულება ჰქონდა. მაგალითად, საარჩევნო კანდიდატების სტუმრობისას, ყველას თანაბრად ამღებდა საკუთარ პროგრამაზე საუბრის საშუალებას. თუმცა, 23 აპრილის გადაცემაში საკმაოდ აქტიურად ოპონირებდა ერთ-ერთ სტუმარს შოთა უტიაშვილს. მასთან კამათში ცინიკური რეპლიკაც გააჟღერა: „სინამდვილეში გავიმარჯვეთ, ბატონო შოთა, და თქვენ ჯავა გაქვთ აღებული“, რასაც სტუმრის პროტესტი მოჰყვა. იმავე გადაცემაში ელისაშვილმა სიტყვა „მამაძალი“ გამოიყენა დავით კეზერაშვილის მისამართით.

ნინო ჯანგირაშვილი სვამდა საკითხთან დაკავშირებულ ზოგად თუ დეტალურ კითხვებს. ცდილობდა სტუმრის პოზიციისგან განსხვავებული აზრის წარმოდგენას და სტუდიაში გამოთქმული მოსაზრებების გამოყენებას კითხვების დასმის დროს. მაგალითად, 29 აპრილის გადაცემაში განაცხადა, რომ რადგან ფინანსთა სამინისტროს და ხელისუფლების წარმომადგენელი გადაცემაში არ ჰყავდათ, ის წარმოადგენდა მათ პოზიციას.

რიგ შემთხვევებში, როცა საუბარი ცხარე დებატებში გადაიზრდებოდა, ნინო ჯანგირაშვილი, მცდელობის მიუხედავად, ვერ ახერხებდა დაპირისპირებული მხარეების გაკონტროლებას. ზოგჯერ იგი თვითონაც იკავებდა კამათის ერთ-ერთ მხარეს.

არაკორექტულ საუბარზე ნინო ჯანგირაშვილს ხან ჰქონდა რეაქცია, ხან - არა. მაგალითად, 22 აპრილის გადაცემაში ჯონდი ბალათურია მიმართავდა სამოქალაქო სექტორს, რომ ისინი ფულის გამო „ყვიროდნენ“ სექსუალური უმცირესობების უფლებების დასაცავად. გადაცემის მეორე სტუმარი პირდაპირ ეუბნებოდა ბალათურიას, რომ შეურაცხყოფას აყენებდა მას, მაგრამ ამას წამყვანის რეაქცია არ მოჰყოლია. თუმცა, იმავე გადაცემაში, როცა ერთ-ერთმა სტუმარმა ნოდარ ხადურის მისამართით თქვა: „არ სჭირდება ნოდარ ხადურს იმის გამოქვეყნება, იმ სისულელის. უბრალოდ თავის თავში იპოვოს ზომა, მაგალითად, დიეტაზე დაჯდეს ბიჭი“, ნინო ჯანგირაშვილმა სტუმარს მოუწოდა, თავი შეეკავებინა პიროვნული შეურაცხყოფისგან.

სტუდია სპექტრი

„სტუდია სპექტრი“ დავით აქუბარდიას თოქ-შოუა, რომელიც კავკასიის ეთერში ყოველ საღამოს გადის. მონიტორინგის პერიოდში (15 აპრილი-2 მაისი) მოექცა 14 გადაცემა. მის სტუმრებს შორის თბილისის მერობის ორი კანდიდატი იყო: ნიკა მელია (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) და გია გაჩილაძე (მწვანეთა პარტია); გარდა ამისა გადაცემას სტუმრობდნენ საპარლამენტო და საკრებულოს უმრავლესობის წარმომადგენლები, არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელი, ასევე, საკმაოდ ხშირად, ექსპერტები და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

განხილული თემები საკმაოდ მრავალფეროვანი იყო. ზოგადად, გადაცემის წამყვანი ხშირად არ მიყვება გამოცხადებულ თემას და სტუმართან ერთად გადაუხვევს მას. თოქ-შოუში განხილული თემებს შორის იყო შემდეგი:

- ანტიდისკრიმინაციული კანონი;
- ქართული სარკინიგზო სივრცე;
- აურზაური საკრებულოში;
- 2008 წლის აგვისტოს ომის გამოსაძიებლად შექმნილი კომისია;
- საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობები;
- საბანკო სექტორში არსებული პრობლემები.
- უკანონო მშენებლობები
- სასამართლო რეფორმა;
- თბილისის იერსახე და მაწანწალები;
- ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები
- ბიზნესის განვითარება საქართველოში

- პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლე
- სომხების გენოციდი;
- უკრაინის კრიზისი და გეოპოლიტიკური ვითარება რეგიონში;
- მერობის ინსტიტუტი და „საქალაქო“ პოლიტიკა;
- სოფლის მეურნეობა და პრობლემები აგრარულ სფეროში;
- კამპანია „ეს შენ გეხება“.

დავით აქუბარდიას გადაცემა საკმაოდ არაოფიციალურად, უფრო „შინაურულად“ მიჰყავს. თოქ-შოუში ხშირად ჰყავს ერთი და იგივე სტუმრები. უმეტეს შემთხვევებში არ ხდება სტუმრების სრულყოფილი გაცნობა მაცურებლისთვის. ჟურნალისტი ხანდახან სტუმარს მხოლოდ სახელითა და გვარით წარადგენს და არ აკონკრეტებს მის პოზიციას. აქუბარდია სტუმრებს ხშირ შემთხვევაში ფამილარულად მიმართავს მათი მისამართით და საქებარ სიტყვებს არ იშურებს: „შენ ჭკვიანი კაცი ხარ, წელან გენიალური რაღაცა თქვი...“, „უნიკალური კაცი ხარ, ქვეყნის ინფორმაცია გაქვს შენ“, „ჩემო დავით“, „ჩემო კახა“, „მე მესიმპათიურებით, გულწრფელად გეუბნებით“, „მოდი, ნინაჩკა, თქვენგან დავიწყეთ“ და ა.შ.

სტუმრები თითქმის ყოველთვის თანაბარ მდგომარეობაში არიან. მათ მიმართ აქუბარდიას დამოკიდებულება განსხვავდება იმის მიხედვით, ეთანხმება თუ არა წამყვანი მათ პოზიციას. იგი სტუმრების მოსაზრებებისადმი ძირითადად თანხმობას გამოხატავს, რადგან უმეტესად იზიარებს მათ პოზიციას. თუმცა, მაგალითად, 29 აპრილის გადაცემაში, სადაც სტუმრად გულიკო ზუმბაძე ჰყავდა, მას არ მიეცა საკუთარი აზრის ბოლომდე დაფიქსირების საშუალება. გარდა იმისა, რომ წამყვანი აწყვეტინებდა სტუმარს საუბარს, იგი ხშირად აკეთებდა სკეპტიკურ შეფასებებს და უარყოფითად აფასებდა სტუმრის მიერ გამოთქმულ აზრებს.

ხშირ შემთხვევაში წამყვანი თავადაც სტუმრის ამპლუაში იყო, რადგან ჩვეულებრივ რეჟიმში გამოთქვამდა თავის აზრებს, რაც არც თუ ისე უმნიშვნელო დროს იკავებდა გადაცემის მანძილზე. აქუბარდიას მიერ დაფიქსირებული აზრების უმეტესობა ირონიული ხასიათისაა. იგი ხშირად იყენებს სალანძღავ და დამამცირებელ ფრაზებს სხვადასხვა სტრუქტურისა და ორგანიზაციის წარმომადგენლების მიმართ, მაგალითად: „ბინძური ტიპი“, „იდიოტი“, „აბლაბუდების მომქსოვი“, „ცრუპენტელა“, „ბანდიტი“, „საქონლები“, „გაიძვერა“, „ნამირალა“, „კრეტინული“, „აბსურდული იდიოტობა“, „ქოსატყუილობის ჭერი“, „პრაზაძიმცები“ და ა.შ. დავით აქუბარდიას შეფასებით ნაციონალური მოძრაობა „ნაცისტურია“, ხოლო დღევანდელი ხელისუფლება - „კასტრირებული“. როცა გადაცემის სტუმრები იყენებდნენ არაკორექტულ ლექსიკას, წამყვანი ამაზე არ რეაგირებდა, უფრო მეტიც, იცინოდა ან ეთანხმებოდა მათ.

ხშირ შემთხვევაში ძნელი იყო გადაცემაში გაჟღერებული ინფორმაციის სანდოობის დადგენა, რადგან წამყვანი იშვიათად ასახელებდა ინფორმაციის წყაროს. აქუბარდიას მიერ გაჟღერებული ინფორმაციის უმეტესობა ასეთი შესავლით იწყება: „ზუსტად არ მახსოვს“,

„ძალიან კარგად მახსოვს“, „დღეს იქ გავიგე“, „მე რამდენადაც ვიცი“, „ცნობილი ფაქტია“. იგი სტუმრებსაც იშვიათად სთხოვდა ინფორმაციის წყაროს დაზუსტებას.

ჟურნალისტი ხშირად გამოხატავდა ემოციებს არავერბალური ენით: აღფრთოვანების ნიშნად კალამს აგდებდა მაგიდაზე, ირონიულად იცინოდა სტუმრის საუბრის დროს, გაკვირვების ნიშნად წამოიძახებდა „ვაიმე დედა“, „ნწ... ნწ...ნწ...“ იყო შემთხვევა, როცა აქუბარდიამ სიმღერაც წაიღიღინა.

ტაბულა

თეორემა

ტაბულას ეთერში კვირაში ორჯერ გადის თამარ ჩერგოლეიშვილის საავტორო გადაცემა „თეორემა“ (თანავტორი: სალომე ბარკერი), რომელიც პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ თემებს მიმოიხილავს. მოცემულ ანგარიშში „თეორემას“ ოთხი გადაცემა მოხვდა. თოქ-შოუ აქტუალურ საკითხებს განიხილავს. 15 აპრილიდან 2 მაისამდე პერიოდში განხილული თემები მოიცავდა შემდეგს:

- კონფლიქტი პრეზიდენტსა და მთავრობას შორის;
- განსხვავებები მმართველ კოალიციაში საგარეო ორიენტაციასთან, ქვეყნის ეკონომიკურ მოწყობასთან, ადამიანის ფუნდამენტურ ღირებულებასთან დაკავშირებით;
- რასიზმი საქართველოში;
- ანტიდისკრიმინაციული კანონი;
- ივანიშვილის ქველმოქმედება;
- დასავლეთისა და რუსეთის ურთიერთობა და საქართველო;
- პოლიტიკური კულტურა და დემოკრატიის ხარისხი;
- ინტერნეტცენზურა;
- მედიისა და ხელისუფლების ურთიერთობა.

მოწვეული სტუმრები თემასთან რელევანტურები და კომპეტენტურები იყვნენ. თუმცა, გადაცემაში ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილი მოქმედი მთავრობის წარმომადგენლები ან მათი მხარდამჭერები. ამ მხრივ ბალანსის დაუცველობას წამყვანი იმით ხსნის, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები უარს ამბობენ გადაცემაში მონაწილეობაზე. ამის ფონზე გადაცემაში, განსაკუთრებით მის პირველ ნაწილში და როცა განხილვა პოლიტიკურ თემას ეხება ან საკითხი პოლიტიკურ ჭრილში განიხილება, ხშირად ისმის ახლანდელი მთავრობის, პრემიერმინისტრის და ბიძინა ივანიშვილის კრიტიკა, რომელიც ალტერნატიული პოზიციით არ ბალანსდება არც სტუმრების და არც წამყვანის მხრიდან. განხილვასა და მსჯელობაში

წამყვანი ზოგჯერ გვევლინება, როგორც მხარე, რომელიც ნაციონალური მოძრაობის პოზიციას იცავს.

წამყვანის მხრიდან ისმის ფრაზები: „ღარიბაშვილი მისი გურუს საყვარელი პრო-პუტინური გაზეთის, ასავალ-დასავალის ლექსიკით გვესაუბრება“; „რა მნიშვნელობა აქვს, ბიძინა ლომიძის, ქორვილოლოგია“; „რუსული პროპაგანდის გაძლიერების საბაზი ანტიდისკრიმინაციული კანონია, რომლის მიღებასაც ანაფორიანი პუტინისტები ეწინააღმდეგებიან“ (1 მაისის გადაცემა). წამყვანის დამოკიდებულება ვერბალურთან ერთად, არავერბალური ენით გამოიხატება. ხშირია მისი მხრიდან სიცილი და ირონიის გამომხატველი ჟესტები თუ შორისდებულები. არის შემთხვევები, როცა კითხვის დასმისას წამყვანი გადმოსცემს ინფორმაციას, რომლის წყაროსაც არ ასახელებს. ზოგჯერ იგი თვითონვე პასუხობს დასმულ კითხვას.

აღსანიშნავია, რომ გადაცემის მეორე ნაწილში, როცა თემა პოლიტიკურ ჭრილში არ განიხილება, წამყვანის ქცევა განსხვავებულია. იგი მოდერატორად გვევლინება, რომელიც არ აწყვეტინებს სტუმრებს საუბარს, არ აფიქსირებს საკუთარ პოზიციას და მხოლოდ ინფორმაციული შეკითხვებით შემოიფარგლება. გადაცემის მეორე ნაწილში წარმოდგენილია რუბრიკა „ხალხის ხმა“, სადაც უცხო ადამიანები გამოთქვამენ მოსაზრებებს განხილულ საკითხთან დაკავშირებით. გამოთქმული მოსაზრებები მრავალფეროვანია და არ არის წარმოდგენილი მხოლოდ ერთი პოზიცია.

ფოკუსი

„ფოკუსი“ ყოველდღიური თოქ-შოუა, რომელსაც სამი წამყვანი ჰყავს: სალომე უგულავა, ნინო მაჭარაშვილი და ირაკლი კიკნაველიძე. ისინი მონაცვლეობით უძღვებიან გადაცემას. სალომე უგულავა და ნინო მაჭარაშვილი უფრო აქტიურად არიან თოქ-შოუში ჩართული, რაც გამოიხატება სტუმრებისთვის უფრო მეტი დამატებითი კითხვის დასმაში, ჩამიებაში და მათთან ოპონირებაში. . მოცემული ანგარიში მოიცავს 15 აპრილიდან 2 მაისამდე გასულ 12 გადაცემას.

თოქ-შოუში განხილული თემები აქტუალურია და ეხმიანება ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. მონიტორინგის მოცემულ პერიოდში (15 აპრილი-2 მაისი) დიდი დრო დაეთმო ანტიდისკრიმინაციული კანონის თემას, ოგი რამდენიმე გადაცემაში განიხილეს. გარდა ამისა, გადაცემა ეხებოდა შემდეგ საკითხებს:

- წინასაარჩევნო გარემო;
- კანონპროექტი უკანონო მოსმენების შესახებ;
- პარლამენტის მუშაობის შეჯამება;
- საყდრისის პრობლემა;

- შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაობის ეფექტურობის შეფასება;
- საქართველოს საგარეო პოლიტიკური გამოწვევები;
- უკრაინის გარშემო განვითარებული მოვლენები.

ამ პერიოდის განმავლობაში გადაცემას სტუმრობდნენ როგორც საპარლამენტო უმრავლესობის, ისე საპარლამენტო უმცირესობის წევრები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ექსპერტები. თუმცა, ჭარბობდნენ ნაციონალური მოძრაობის წევრები და მათი პოზიციის მომხრეები. გადაცემის დასაწყისში ჟურნალისტები აღნიშნავდნენ, როცა მმართველი კოალიციის წევრები იყვნენ მიწვეულები, მაგრამ ვერ ახერხებდნენ ან უარს ამბობდნენ გადაცემაში მონაწილეობაზე. შედეგად, მეტი დრო დაეთმო საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებს და ხშირად ისმოდა ხელისუფლების კრიტიკა, რაზეც ნაკლებად ხდებოდა წამყვანების მხრიდან ოპონირება საპირისპირო არგუმენტებით. კოალიცია ქართული ოცნებისა და ნაციონალური მოძრაობის გარდა, სხვა პოლიტიკური ძალა თოქ-შოუში წარმოდგენილი არ იყო.

გადაცემის სტუმრები ძირითადად თანაბარ მდგომარეობაში არიან. წამყვანები სტუმრებს აზრის გამოთქმის საშუალებას ყოველთვის აძლევენ. მათი კითხვები ძირითადად ერთნაირად მომთხოვნიან რესპონდენტების მიმართ. თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში, მაგალითად, 15 აპრილის გადაცემაში ნინო მაჭარაშვილი ნაკლებად მომთხოვნი იყო გიგი უგულავას მიმართ. რესპონდენტი საუბრობდა პარტიის გეგმებზე და აკრიტიკებდა ხელისუფლებას, რის საშუალებასაც ჟურნალისტი აძლევდა ნაკლებად მომთხოვნი კითხვებით.

„ფოკუსის“ წამყვანები სიძულვილის ენას ან არაეთიკურ ლექსიკას არ იყენებენ. ასეთი გამონათქვამები არც გადაცემის სტუმრების მხრიდან დაფიქსირებულა.